# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

## ბრძანება N 2-293

01/04/2019 ქ. თბილისი

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვაბღას მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „შელერი“-ს მდ. გუბაზეულზე „გუბაზეული 6“ ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის ამავე კოდექსის I დანართის 3.8 პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვაბღას მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „შელერის“, მდ. გუბაზეულზე „გუბაზეული 6“ ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N28; 22.02.2019 წ.
2. შპს „შელერი“ ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N28; 22.02.2019 წ. სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „შელერს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „შელერის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი